ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 313

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, მოქალაქე ნანა ნემსაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 233-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 აგვისტოს №44-442423455 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მოქალაქე ნანა ნემსაძისათვის (პირადი №60001072075) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №21, ქარხანა „აიასთან“ მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.05.23.146; ფართობი - 460.00 კვ.მ.), 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 11 იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით (01.02.2024 წელი, №000613724), რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისათვის განისაზღვრება 34.0 (ოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით. სარგებლობაში გადაცემული ქონების წლიური სარგებლობის ქირა შეადგენს 15 640.00 (თხუთმეტი ათას ექვსას ორმოცი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
31 გას. № 55
"31" 08 2024 წ.

განხორციელდეს ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. მოქალაქე ნანა ნემსაძის მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კონსტრუქციის განთავსების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

მუხლი 4. მოქალაქე ნანა ნემსაძე (პირადი №60001072075) ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების მომიჯნედ არსებული ტერიტორიის (ფართობი – 460 კვ.მ.) სკვერის ფუნქციით განაშენიანება და მისი მოვლა–პატრონობა (მწვანე ნარგავების დარგვა და არსებულის მოვლა, ძელსკამების დადგმა, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი, ახლით შეცვლა, დაზიანებულის აღდგენა).

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს სარგებლობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო